ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7361399

ნომერი: AR11074139

თარიღი : 20.01.2025

გაცემის თარიღი : 30.01.2025

გაცნობის თარიღი : 30.01.2025

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორიშვილის , ქუჩა N13, 1 გასასვლელი N1;N11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ თავაძე პ/ნ 01026008927
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 1 ბ. 77

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2025 წლის 20 იანვრის AR11074139 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ქუჩა ბოჭორიშვილის, N13, 1, გასასვლელიN1; N11, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 01.11.12.018.837) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, დადგენილია საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), რომელიც წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ/საზოგადოებრივ საქმიან ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 90%-ისა.*

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები

კ-10,5*/0,7კოეფიციენტი

კ-23,5კოეფიციენტი

კ-30,2/0,3*კოეფიციენტი

საცხოვრებელი სიმჭიდროვე–ერთეული/ჰა

მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომებიმინიმალური ფართობი600/700*კვ.მ

მინიმალური სიგანე15/20*მეტრი

მინიმალური სიღრმე25/30*მეტრი

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე–მეტრი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მიხედვით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-სათვის (სსზ-1) წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.